

ანალიტიკური წერა
II ვარიანტი

ორი დავალება
დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ტურისტული კომპანია „სალი“ წლების განმავლობაში ჩართულია უცხოელ ტურისტთა მომსახურებაში. ის აწყობს კომპლექსურ ტურებს, რომლებიც გულისხმობს უცხოელთათვის ქვეყნის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობას.

ახლად დაარსებულმა ტურისტულმა კომპანიამ „იქსთი“ მიზნად დაისახა სეზონური ტურისტული მომსახურების დანერგვა, რაც გულისხმობს უცხოელი ტურისტებისათვის ზამთარში – სათხილამურო მარშრუტების, ხოლო ზაფხულში მდინარეებზე სხვადასხვა ტიპის ნავებით მოგზაურობის შეთავაზებას.

„იქსთის“ დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში მისი შემოსავალი საკმაოდ ჩამორჩებოდა „სალისას“. „იქსთის“ დამფუძნებლებმა დაასკვნეს, რომ მათი წამოწყება წარუმატებელი იყო.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო „სალი“ უფრო შემოსავლიანი იყო, ვიდრე „იქსთი“. კრიტიკულად შეაფასეთ „იქსთის“ დამფუძნებელთა დასკვნა.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ბოლოდროინდელი მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში იმატა ელექტრონული წიგნების მკითხველთა რიცხვმა, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მალე ელექტრონული წიგნი მთლიანად ჩაანაცვლებს ბეჭდურს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.